დამტკიცებულია ონის მუნიციპალიტეტის მერის
2022 წლის 20 იანვრის ბრძანებით
ონის მუნიციპალიტეტის მერი
სერგო ხიდეშელი

დანართი #1

მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დებულება

ეს დებულება განსაზღვრავს ონის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში-მერი) სათათბირო ორგანოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში-საბჭო) უფლებამოსილებებს, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს;

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1 საბჭოს ცნება

საბჭო არის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

1. საბჭოს პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) თანასწორობა;

დ) დემოკრატიული თანამონაწილეობა:

ე) საჯაროობა;

ვ) მიუკერძოებლობა;

ზ) კოლეგიურობა;

თ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

2. საბჭოს მიზანია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;

ბ) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში ახალგაზრდების საჭიროებების, მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება, ლობირება და ადვოკატირება;

გ) ახალგაზრდების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ახალგაზრდული პოლიტიკის პროფილით მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მეწარმე სუბიექტების წარმომადგენლები, თითო წარმომადგენელი მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებათა ყველა კატეგორიიდან: სოფელი, დაბა, ქალაქი და ერთი წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე.

2. საბჭო იმგვარად უნდა დაკომპლექტდეს რომ თითო წევრი მაინც იყოს წარმოდგენილი შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებში: 14-18 წლის, 18-25 წლის, 25-29 წლის, 29-45 წლის.

3. საბჭო შედგება არაუმეტეს 10 წევრისგან.

4. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

5. საბჭო, თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს (შემდგომში - თავმჯდომარე).

6. საბჭო სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის, გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მდივანს (შემდგომში - მდივანი).

თავი მეორე

საბჭოს უფლებამოსილებები და შემადგენლობის დამტკიცების წესი

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) წინასწარ, მის დამტკიცებამდე განიხილოს მერის მიერ მომზადებული სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკის დოკუმენტების პროექტები გამოთქვას

მოსაზრებები და შეიმუშავოს რეკომენდაციები განხილულ პროექტებთან დაკავშირებით;

ბ) მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ, განსაკუთრებით იმ საკითხებზე რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობას.

გ) მონაწილოება მიიღოს და წარმოადგინოს ახალგაზრდების ინტერესები, მერის მიერ ორგანიზებულ, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებელ პროცესში

დ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ და ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;

ე) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

ვ) სხდომაზე მოიწვიოს და მოუსმინოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს;

ზ) შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კონკრეტული საკითხის დამატებით შესწავლის და გამოკვლევის მიზნით;

თ) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები;

მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების წესი

1. საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით.

2. საბჭოს წევრთა ნახევარს, როგორც წესი, შეადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, ხოლო ნახევარს ორგანიზაციული (ააიპ და მეწარმე სუბიექტები) ნიშნით წარდგენილი პირები.

3. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირირებულ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ 5 მოქალაქის შემადგენლობით.

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირირებულ მეწარმე იურიდიულ პირს;

გ) ახალგაზრდული პოლიტიკის პროფილით მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

4. საბჭოს თავდაპირველი შემადგენლობა მტკიცდება მერის მიერ ამ ბრძანების დანართი #2-ის საფუძველზე.

4. საბჭოში ორგანიზაციული ნიშნით წარმოდგენილი წევრის ცვლილების უფლება აქვს მის წარმდგენ ორგანიზაციას. წარმომადგენლის ცვლილება არ იწვევს საბჭოში წევრი ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტას. ხოლო ფიზიკური პირი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის ჩანაცვლებაზე

გადაწყვეტილებას მიიღებს საბჭო, ხოლო მერის წარდგენილ წევრ საჯარო მოხელის ჩანაცვლებაზე გადაწყვეტილებას იღებს მერი.

თავი მესამე

საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი, საბჭოს წევრი

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე.

2. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია საბჭოს 3 წევრს. რომლებიც ქმნიან საინიციატივო ჯგუფს. საბჭოს წევრს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი საინიციატივო ჯგუფის წევრი

3. საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ორგანიზებას უზრუნველყოფს დროებითი კომისია, რომელიც შედგება კანდიდატების წარმომდგენი საინიციატივო ჯგუფების თითო წარმომადგენლისგან.

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

1. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელი მოაწეროს საბჭოს ოქმს და საბჭოს მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებს;

გ) უზრუნველყოს საბჭოს გადაწყვეტილების მერისთვის წარდგენა;

დ) მოახდინოს საკითხის ინიციირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ე) შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად;

ვ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მერის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მიერ გამართულ საჯარო სხდომებში და მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ზ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

თ) საბჭოს და მუნიციპალიტეტის მერს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;

თ) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

2. საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა არ ანაზღაურდება. მერის გადაწყვეტილებით, საბჭოს თავმჯდომარეს შესაძლოა მხოლოდ აუნაზღაურდეს საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამოსილებებს მისივე დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 8. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) საკუთარი განცხადებით;

ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით;

გ) თუ შეუწყდა საბჭოს წევრობა.

მუხლი 9. საბჭოს მდივანი

1. საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით ირჩევს საბჭოს მდივანს.

2.საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია საბჭოს 2 წევრს

3. მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მდივნის უფლებამოსილებებს მისივე დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 10. საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები

1. საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას;

ბ) საბჭოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ განცხადებას ან რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ ინიციატივას დასარეგისტრირებლად გადასცემს მერს

გ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას და გაფორმებას;

დ) სხდომის ოქმს გააცნობს სხდომაზე დამსწრე წევრებს;

ე) უზრუნველყოფს დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შედგენას და გაფორმებას;

ე) ადგენს სხდომის გადაწყვეტილებათა პროექტებს

ვ) ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.

2. საბჭოს მდივნის საქმიანობა არ ანაზღაურდება. მერის გადაწყვეტილებით, საბჭოს მდივანს შესაძლოა მხოლოდ აუნაზღაურდეს საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 11. საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს მდივანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) საკუთარი განცხადებით;

ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით;

გ) თუ შეუწყდა საბჭოს წევრობა.

მუხლი 12. საბჭოს წევრი

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ბ) შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად;

გ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მერის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების გამართულ საჯარო სხდომებში და მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

დ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) საბჭოს და მერს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;

ვ) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

2. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 13. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება თუ:

ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;

ბ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

გ) აღარ არის რეგისტრირებული შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე;

დ) მიმართა საბჭოს წევრობის შეწყვეტის განცხადებით;

ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა;

ვ) სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

ზ) გარდაიცვალა;

თავი მეოთხე

საბჭოს სხდომის მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

მუხლი 14. საბჭოს სხდომის მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები:

1. საბჭოს სხდომის მოწვევის ინიციირების უფლება აქვთ:

ა) მერს - საკუთარი ინიციატივით;

ბ) საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს.

მუხლი 15. საბჭოს სხდომის მოწვევა

1. საბჭოს მორიგი სხდომა იმართება თვეში ერთხელ მაინც. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს პირველ სხდომას საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იწვევს მერი

3. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს წევრი, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ განცხადება რეგისტრირდება მუნიციპალიტეტის მერთან სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

4. მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

ა) სხდომის გამართვის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების ნუსხა;

გ) სხდომის გამართვისთვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

5. საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

6. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია ამ დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრულ სუბიექტებს. რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივა რეგისტრირდება მერთან. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარადგენს საბჭოს მდივანი.

მუხლი 16. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. სხდომას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი;

2. საკითხის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს წევრს, საბჭოს თავმჯდომარეს და მერს;

3. მუნიციპალიტეტის მერი ან მისი წარმომადგენელი, მერიის თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან დაესწრონ სხდომას სათათბირო ხმის უფლებით;

4. საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა 2/3-ით.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი.

7. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სხდომის გამართვის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის დაწყების და დასრულების დრო;

გ) სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების სია;

დ) სხდომის დღის წესრიგით განსახილველ საკითხთა ნუსხა;

ე) სხდომაზე განხილული საკითხები და კენჭისყრის შედეგები;

ვ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

8. საბჭოს სხდომის დასრულებისთანავე, სხდომის მდივანი სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნობს ოქმის შინაარსს, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს და უზრუნველყოფს მის მიწოდებას მერისთვის.

9. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს.

მუხლი 17. საბჭოს დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. საბჭოს უფლება აქვს საკუთარ უფლებამოსილებებში შემავალი კონკრეტული საკითხის დამატებით შესწავლის და გამოკვლევის მიზნით შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

2. დროებით სამუშაო ჯგუფი შედგება საბჭოს არანაკლებ 3 წევრისგან და მას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებიდან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია;

ბ) ადგილზე გაეცნოს საკითხს, გააკეთოს ჩანაწერები და მოიპოვოს დამატებითი მასალები;

გ) მონაწილეობა მიიღოს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მერის ინიციატივით გასამართ შეხვედრებში;

დ) შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით განახორციელოს სხვა საჭირო მოქმედებები.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფი შესასწავლი საკითხის შესახებ ამზადებს დასკვნას, რომელიც გადაეცემა საბჭოს დასამტკიცებლად. აღნიშნული დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს

5. დროებით სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

თავი მეხუთე

მერის ვალდებულება საბჭოს მიმართ

მუხლი 18. მერის ვალდებულება საბჭოს მიმართ

1. მერი ვალდებულია:

ა) საბჭოს წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის მის წარდგენამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე;
ბ) საბჭოს წარუდგინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სხვა სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტების პროექტები, განსაკუთრებით ის დოკუმენტები რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ პოლიტიკას.
გ) წელიწადში ერთხელ გააცნოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ და უპასუხოს საბჭოს წევრთა კითხვებს
დ) უზრუნველყოს საბჭოს მონაწილეობა საბიუჯეტო დაგეგმვის და ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

თავი მეექვსე

დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან მისი გაუქმება ხდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.